

1919


6521



№ 8.

**წელიწადი**  
**პირველი**

თბილისი  
 1819 წ.  
 კვირა 26 იანვარი.



### ყოველ-პირველი ურნალი „რესპუბლიკის ჟარნი“

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული სამეცნიერო და სალიტერატურო განყოფილებით)

ამიერიდან გამოდის გადიდებული ფორმატით და განახლებული რედაქციით. უურნალი მთელი წლით ეღირება 80 მ., ნახევარი წლით 45 მ., თვიურათ 8 მ., ცალკე ნომერი 2 მ.

უურნალისთვის ყოველგვარი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბარონის (კალო-უბნის) ქ. ოჯიციალური გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, — უურნალ „რესპუბლიკის ჟარნისთვის“. უურნალის „რესპუბლიკის ჟარნის“ სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, გარდა უქმეებისა, 1—3 საათამდე. უურნალის კანტორა ღიაა—10—3 საათამდე.

### შინაარსი:

- 1) ჭმოწინავე
- 2) საუბარი ჯარის კაცთან ივ. გომარაძე
- 3) ზღვაოსნობის საკითხი გ. ჩ.
- 4) მოკლე რჩევა ავ. აბსხაძე.
- 5) ოფიცერთა საკითხი ი—ძე.
- 6) საქართველოს სამხედრო ისტორიიდან ი. გედევანიშვილი

- 7) ჩვენი სამხედრო ფორმა კ. ბერიძე.
- 8) ძველი საქართველოს დამოკიდებულობა ინგლის-საფრანგეთთან პოდპ. იოსავა.
- 9) გავამაგროთ ჯარი. ოქუაშვილი.
- 10) სამხედრო კომისიაში პ. ლ. და სხვა.

# სამხედრო უწყნალი

## „რესპუბლიკის ჯარი“

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილებით)



სახალხო გვარდიელი ს. მანისურაძე,  
ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპული.

### ოფიციალი განყოფილება

#### რესპუბლიკის მთავრობის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა .

რესპუბლიკის ჯარების მიმართ

10 იანვარს 1919 წ. ქ. ტფილისი,

№ 5.

ბორჯომის უბნის კომისარის პოდპორუჩიკი გიორგი ჟორდანიას მიერ შედგენილი ინტერნაციონალური მოხალისეთა ასეული სამი ოფიცრის 125 მოხალისის და 20 ცხენის შემადგენლობით ჩაირიცხოს სამსახურში მყოფათ ამა 1919 წლის 1 იანვრიდან და დაინიშნოს გენერალ მაყაშვილის განკარგულებაში.

ასეულის შემადგენლობის ხარისხოსნები იღებდნენ იმავე დაკმაყოფილებას როგორც საგუბერნიო ათასეულის შემადგენლობის ხარისხოსნები.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე

11 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 6.

§ 1. რესპუბლიკის ჯარების უფროსმა მღვდელმა დეკანოზმა თოთიბაძემ მოხსენებით შეატყობინა, რომ ამ წლის 3 იანვარს სამსახურის გამო გაემგზავრა ფრონტზე.

§ 2. მინდობილებისათვის შტაბ-ოფიცრმა სამხედრო სამინისტროსთან პოლკოვნიკმა ჯაფარიძემ დამატებით მოხსენებით შემატყობინა, რომ 1919 წელს 26 დეკემბერს პორუჩიკ ხერხეულიძით, ინგლის-საფრანგეთის დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა სომხეთის რესპუბლიკაში სადგურ აქსტაფით, კარავან-სარაით და დელიჯნით და იმავე წელს 28 დეკემბერს მივიდნენ კარაკლისში, სადაც იმათ მიელოდათ კომისია შემდგარი ხუთი სომხეთის პარლამენტის წევრისაგან და მთავრობის წარმომადგენელი გენერალ-მაიორი ყორღანოვი.

ასრულებელთანავე დავალებული მინდობილობისა დელეგაციასთან ერთად 30 დეკემბერს გამოემგზავრნენ და მოვიდნენ ქ. ტფილისში 30 დეკემბერს 1918 წელს.

ამა წლის 1-ლ იანვარს იმავე დელეგაციასთან და თანხლებობით პორუჩიკი ხერხეულიძისა პოლკოვნიკი ჯაფარიძე გაემგზავრა ჩვენი და სომხეთის ფრონტზე, გასაგებათ თუ რა ადგილას შეჩერდნენ ჩვენი მოწინავე ნაწილები 1918 წლის 31 დეკემბრის 24 საათზე. საიდგანაც თანხმობის შემუშავების შემდეგ ამ წლის 3 იანვარს დაბრუნდა ქალაქ. ტფილისში.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

№ 7.

13 იანვარი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

გენერალ-მაიორმა როიანაშვილმა მოხსენებით შემატყობინა, რომ ამ წლის 11 იანვარს განსაკუთრებული კომისია მის თავმჯდომარეობით გაემგზავრა ბორჩალოს მაზრაში.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

№ 8

18 იანვარს 1919 წ. ქ. ტფილისი.

დაშლილ იქმნას ტფილისის საყარაულო რაზმი, რომელიც შედგენილ ყოფილა თანახმად 14 ნოემბერს 1918 წლისა № 171-ით გამოცემულის ჩემის ბრძანების მეორე პარაგრაფისა.

რაზმის ქონება და პიროვნული შემადგეელობა გადაეცეს მეორე ქვეითა დივიზიის უფროსის განკარგულებაში შტატს გარეშე დარჩენილი პიროვნული შემადგენლობა



დივიზიის უფროსმა მიაველინოს პიროვნულის შემადგენლობის განყოფილების უფროსის განკარგულებაში.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

№ 10

20 იანვარს 1919 წ. ქ. ტბილისი.

დაქირავებულ მოსამსახურეებს ყველა ნაწილებისას მიეცეს უფასო წამლობა სამხედრო გოსპიტლებში და სამხედრო საავადმყოფოებში დაწოლით.

სამხედრო მინისტრის მაგიერი გენერალ მაიორი გედევანიშვილი.

№ 11

17 იანვარს 1919 წ. ქალ. ტფილისი.

ჩემს განკარგულებაში მყოფმა გენერალ-მაიორმა ფურცელაძემ და პოლკოვნიკმა ინჭკირველმა მოხსენებით შემატყობინეს, რომ მოხალისეთა რაზმების დაშლის გამო პირველმა 14 იანვარს 1919 წელს და მეორემ 11 იანვარს 1919 წელს დაბრუნდნენ და შეუდგენ თავის თანამდებობის აღსრულებას.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

№ 12

17 იანვარი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

ინიშნება: პოლკოვნიკი მენტეშოვი ახლად გარდაცვალებულ პოლკოვნიკ შერვაშიძის მაგიერ საინტენდანტო საწყობების შესამოწმებელ გენერალ-მაიორ მაჭავარიანის კომისიაში.

სამხედრო მინისტრის მაგიერი მისი თანაშემწე გენერალ-მაიორი შლივანი.

№ 13

20 იანვარი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

რესპუბლიკის ჯარების უფროსმა მღვდელმა დეკანოზმა თოთიბაძემ მოხსენებით შემატყობინა, რომ ამ წლის 17 იანვარს დაბრუნდა ბორჩალოს ფრონტიდან.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

№ 14

20 იანვარი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

მადლობას უცხადებ ტხნიკოსს ტოტაძეს და ათის თავს დულაევს მათი ენერგიულ მუშაობასთვის საღან-ლულიდან კოდაძის გზა ტკეცილის გასწორებაში.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

№ 15

21 იანვარი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

რესპუბლიკის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარემ გენერალ-მაიორმა როინიშვილმა, მოხსენებით 6 იანვრიდან ა. წ. № 22, შემატყობინა, რომ ქუთაისში დროებითის სამხედრო სასამართლო დახურულია 25 ქრისტ. 1918 წ. ამ სასამართლოს მოქმედების დროს განმავლობაში განსახილველი ყოფილა საქმეები თოთხმეტის ჯარის კაცის და ერთის ოფიცერის შესახებ, რომელთაგან მსჯავდასაღებთა მოყვანილობის გამო დარჩენილა განუხილველად მხოლოდ სამი საქმე.

თავის მოხსენებაში გენერალ-მაიორი როინიშვილი მიატყვეს ყურადღებას სასამართლოს სესიის თავმჯდომარის პირველის პოლკის უფროსის პოლკოვნიკის ფურცელაძის და ქ. ქუთაისის კომენდანტის პოლკოვნიკის მოქმედებას, რაიცა გამოიხატა იმაში, რომ მათ დიდად შეუწყვეს ხელი სესიის წარმატებით ჩატარებას თავიანთ

მზრუნველობით, როგორც ბინის შოინისა და სასამართლოს მოწყობისათვის, ისე პიროვნულის შემადგენლობისათვის, ამასთან შეიმჩნეოდა სამაგალითო დისციპლინა ქუთაისის გარნიზონის სამხედრო ხარისხოსანთა შორის.

ასეთის გულითადის და სასარგებლო მოქმედებებისათვის მოვალეობად მიმაჩნია სამსახურის სახელით მადლობა შეგწირო აღნიშნულს შტაბ-ოფიცრებს-პოლკოვნიკებს ფურცელაძეს და ანჯაფარიძეს.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

№ 16

14 იმნვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

იმის გამო, რომ ახლანდელმა ომმა გამოიწვია დიდი გასავალი ნივთთა, რომელნიც სანივთო საწყობებში ძალიან ცოტა და დარჩა, და ჯარების მობილზაციის გამო, ვბრძანებ ჯარისკაცების სათადარიგოდ დათხოვნის დროს ჩამოერთვათ მათ მიცემული შეკაზმულობა, ხოლო იმ ჯარის ნაწილებში, რომელნიც არ არიან დასაშლელნი, დატოვებულ იქნას მიმდინარე კმაყოფილებისათვის, ხაზინითგან მიცემული ტანისამოსი და ფეხსაცმელი კი არ ჩამოერთვას ჯარისკაცებს, მხოლოდ გამოეცხადოს მათ ოუ გაწვეულ იქნას ექვსის თვის განმავლობაში, მოვალენი იქმნებიან გამოცხადდნენ ამ ტანისამოსით; ექვსის თვის გასვლის შემდეგ, დღიდან მათ დათხოვნისა, ტანისამოსი ხდება მათ სრულს საკუთრებად. ჯარის ნაწილებს და სამხედრო უწყების სამმართველოებს და დაწესებულებებს, რომელნიც დასაშლელნი არიან, ვავალებ, მუუფროსეთა პასუხის მგებლობით, მათ მიერ მიღებული; მაგრამ ჯარისკაცთათვის მიუცემლად დარჩენილი ნივთები და ფეხსაცმელი, აგრეთვე შეკაზმულობა, როგორც მიცემული, ისე მიუცემელი ჩააბარონ ტფილისის საინტენდანტო სანივთო საწყობს და ჩაბარებულის ნივთების აღწერილობანი წარადგინონ სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილებაში.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

## არა ოფიციალ განყოფილება.

თბილისი, 26 იანვარი.

მუშაობა ჯარისთვის.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სხვა პოლიტიკა არ შეიძლება რომ ჰქონდეს. მისი პოლიტიკის უმთავრესი ხაზია: ერთა სოლიდარობა და ყველა სახელმწიფოსთან მეგობრული დამოკიდებულება იგი უარყოფს ომს, იგი უარყოფს თავდასხმას. საქართველოს რესპუბლიკა მხოლოდ მშვიდობიანობისა და მეგობრობის მომხრე და დამცველია.

მაგრამ ყველა ხომ ამას არ იზიარებს! ყველა არაა გამსჭვალული ამ დემოკრატიული პრინციპით და ყოველივეს შესაძლებელია ჩვენზე თავდასხმა.

საქართველოს არავისათვის ომი არ აუტეხია, მაგრამ მას კი თავს დაესხნ და ისიც იარაღით შეეგება შემოსეულ მტერს. ჯერ კიდევ მრავალი მტერი ჰყავს ჩვენს დამოუკიდებლობას და მას დაცვა



სკირდება. სომხეთის გამოლაშქრებამ, არტანის. და სომხუმის ოლქის ამბებმა ნათლათ გვიჩვენა, თუ რა-  
ოდენ საჭიროა ჩვენთვის ძალა. ასეთი ძალა კი არის  
სამხედრო ძალა—ჯარი. ჯარის ზრდა, ჯარის სავ-  
სებიანი მოწყობა ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს უუ-  
საჭიროესი საქმეა და მისთვის არაფერი არ უნდა  
დავიშუროთ.

მუშაობა ჯარისათვის: ჯარის გაწვრთნა, ჯარის  
მომზადება და შესაფერ სამხედრო და კულტურულ  
დონეზე დაყენება ყოველი წამის საქმეა და მტკიცე  
ენერგიით უნდა განვაგრძოთ ამისათვის მუშაობა.  
საქართველოს სახელმწიფოებრივ განმტკიცებაში ამ  
მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. და აი ამ  
დანიშნულების შესრულებას შესძლებს ჩვენი ჯარი,  
რომელსაც შეგნებული აქვს სამშობლოსადმი თა-  
ვისი მოვალეობა. დღემდისაც საქართველოს ბედის  
გამოკვედაში ჯარმა დიდი მონაწილეობა მიიღო და  
აწი კიდევ უფრო გაფოლადებული ნებისყოფით  
და თავდადებით შეებრძოლება იგი საქართველოს  
დამოუკიდებლობის და საქართველოს თავისუფლე-  
ბის ყოველ გვარ საფრთხეს და გასაჭირს.

**ზღვაოსნობის საკითხი ჩვენს რესპუბლიკაში.**

შვიდ თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც სა-  
ქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოც-  
ხადდა. ბევრი გაკვირება გამოსცადა ამ ხნის განმა-

**საუზარო ჯარის-კაცთან.**

**VI**

მეფის დროსაც გვყავდა ჩვენ მთავრობა, დღე-  
საც მთავრობა გვყავს, მაგრამ რა არის ამათ შო-  
რის საერთო? სრულებით არაფერი.

ძველი მთავრობა ხალხის მთავრობა კი არ იყო,  
არამედ მეფის შემამულების მთავრობა.

ჩვენი მთავრობა ხალხის მთავრობაა, მშრომელი  
ხალხისა.

ძველი მთავრობა ხალხს ტყავს აძრობდა მდიდ-  
რების კეთილდღეობისთვის.

ჩვენი მთავრობა კი ყოველისფერს აკეთებს  
ხალხის სასარგებლოთ და საკეთილდღეოთ.

ძველი მთავრობა ხალხს არაფერს არ ეკითხებო-  
და, ხალხი მას დამორჩილებული, დამონებული  
ჰყავდა.

ჩვენი მთავრობა კი ყოველისფერში პარლა-  
მენტს ეკითხება. პარლამენტი კი იგივე ხალხია,  
რადგანაც აქ ხალხის შიერ არჩეულნი იყრიან თავს  
და ბკობენ.

პარლამენტი რომ უთხრას ჩვენს მთავრობას:  
არ გენდობი, გადადექიო, ის მაშინათვე გადადგე-  
ბა და პარლამენტი ახლო მთავრობას აირჩევს. რად-

ვლობაში ჩვენმა პატარა სახელმწიფომ, მაგონა მასა  
რობამ და ხალხმა სძლიეს, შეერთებულის ძალით,  
ყოველგვარ უბედურებას და დაუმტკიცეს მთელს  
ქვეყანას, რომ საქართველოს უფლებაც აქვს და-  
მოუკიდებლათ იარსებოს და უნარიც.

ამასობაში მრავალი ომიც გათავდა. მებრძოლი  
ერები უბრუნდებიან მშვიდობიანს გზას და სცდი-  
ლობენ ალაღვინონ ძველი ურთიერთობა. უმთავ-  
რესათ ეკონომიური ურთიერთობა, რადგან ყველას  
საშინლათ მას დაეტყო ომის შედეგები. ჩვენც უნ-  
და ვიფიქროთ მის აღდგენაზე, რადგან სხვებზე მე-  
ტათ ვიყავით და ვიქნებით კიდევ შორეულ და  
ახლო მეზობელთაგან დამოკიდებული.

ამ წერილში ჩვენ ზღვაოსნობაზე ვგსურს გაუ-  
ზიაროთ მკითხველს აზრები, რადგან ზღვაოსნობა  
უმნიშვნელოვანესი ფაქტორია დღევანდელი ეკონო-  
მიური ურთიერთობისა. ყველამ იცის, რომ თუ  
ძველათ ზღვა აშორებდა ქვეყნებს, დღეს იგი პირ-  
იქით აერთებს მათ. ავსტრალია, სამხრეთ-ამერიკა,  
სამხრეთ-აფრიკა წინათ არავითარ როლს არ თამა-  
შობდენ ევროპის ეკონომიურ ცხოვრებაში. საზღვაო  
ტენიკის განვითარების საქმეა ის, რომ დღეს მთე-  
ლი მსოფლიოს მნიშვნელოვანი პორტები მუდმივი  
რეისებით არიან ერთი-ერთმანერთთან შეერთებულ-  
ნი. ზღვა და სახელმწიფოს ბედ-იღბალი იმდენათ  
მჭიდროთ არიან დღეს ერთიერთმანერთთან დაკავ-

განაც პარლამენტს ხალხი ირჩევს, ამიტომ ცხადია,  
პარლამენტის ნდობა იგივე ხალხის ნდობაა, პარ-  
ლამენტის სურვილი ნება ხალხის სურვილი და  
ნებაა.

ასეთი მთავრობა იწვევს ნდობას, პატივისცე-  
მას სიყვარულს, აღტაცებასა და აღფრთოვანებას  
ყველასაგან, ვისაც ხალხი, მისი ბედი და მომავალი  
უყვარს.

ასეთი მთავრობისა ეშინია მხოლოდ ხალხის  
ორგულს. შენ ხალხის შეილი ხარ, ჩემო ჯარის  
კაცო, და ამიტომ შენ კი არ გეშინიან ასეთი მთავ-  
რობის, შენ გიყვარს ის და უაღრესად პატივსა  
სცემ მას, როგორც ქეშმარიტი-შეილი მშრომელ  
ხალხისა.

პირველ წერილში შენ პირდაპირ მითხარი: ში-  
ში მატანდა ძალას და ამიტომ ვემორჩილებოდი  
მთავრობასო.

დღეს კი შიში აღარ გატანს ძალას. რადგანაც  
ჩვენი მთავრობა ხალხის მთავრობაა და მისი მხო-  
ლოდ ხალხის მტრებს ეშინიან.

მაგრამ შენ უნდა დაგატანოს ძალა, შენმა შეგ-  
ნებამ, შენმა ადამიანობამ; შენ შენი შეგნებით  
შენის ადამიანობით, შენის სინილისით უნდა ემორ-  
ჩილებოდეს ჩვენს მთავრობას, რადგანაც ის არის



შირბული, რომ მათი განცალკევება შეუძლებელია. ამით აიხსნება ის, რომ ყოველი სახელმწიფო სკდლოზს დაუახლოვდეს ზღვას და არავითარ მსხვერპლს არ ერიდება ამ მიზნის მისაღწევათ.

ჩვენს საბიდანეროთ საქართველოს რესპუბლიკა განსაკუთრებით კარგ პირობებშია ამ მხრივ ჩაყენებული. მის საზღვრებს ფართოთ აკრავს, ზღვა, რომელიც საშუალებას მისცემს მას ურთიერთობა იქონიოს მთელ ქვეყანასთან. მაგრამ ამისათვის სხვა პირობებიცაა საჭირო. ზღვა თავისთავათ ვერაფერს მისცემს ქვეყანას. იგი მხოლოდ ურთიერთობის საშუალებაა.

ზღვაოსნობის განვითარებას შემდეგი პირობები უდევს სარჩულათ: 1) ბუნებრივი სიმდიდრე და ეკონომიური განვითარება ამა თუ იმ ქვეყნისა. 2) ზღვის კიდის სივრცე. 3) კომერციული ფლოტის სიდიდე. 4) რკინის გზების რაოდენობა. განვიხილოთ ყველა ეს პირობები ცალ-ცალკე, და ვნახოთ რამდენათ ხელსაწყონი არიან ისინი ჩვენი მომავალი ზღვაოსნობისათვის.

პირველ მუხლს არ სჭირია ცალკე დასაბუთება. ყველამ იცის, რომ ჩვენი სამშობლო ის ქვეყანაა, სადაც ქრისტე ღმერთს თავის მადლიანი კალთა დაუბლერტია. აქ მრავლათ მოიპოვება ისეთი ლითონები, მინერალები, რომელნიც ადგილ-მცემობაში ძალიან დიდ როლს თამაშობს: სპილენძი, შავი ქვა,

აღჭურვილი ხალხის ნდობით, ხალხმა მას ჩააბარა თავისი საქმეები, თავისი ბედისხალი და ის აკეთებს ხალხის საქმეს.

პირდაპირ გეტყვი, ჩვენი ჯარისკაცი, ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი იმედო, — შენი ახალი მდგომარეობა საპატიოა, სასახელო, მაგრამ ამავე დროს მიიმეა კი და აი რატომ.

მართალია, მეფის ხელშიც ჯარის კაცი იყავი და დღესაც ჯარის კაცი ხარ რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებაში, მაგრამ მეფის ხელში შენ იყავი მონა, რომელსაც შიში ამოქმედებდა.

დღეს კი შენა ხარ თავისუფალი ადამიანი, რომელსაც შიში კი არ ამოქმედებს, არამედ სინიღისი და შეგნება. შენი სინიღისი, შენი შეგნება. გავაღებ შენ, რომ მტკიცეთ, შეურყევლათ შეასრულო ჩვენი მთავრობის ყოველი დავალება, რადგანაც ის არის მშრომელი ხალხის ნდობით აღჭურვილი და მშრომელი ხალხის ბედის მდგარი გამომჰქედი მთავრობა.

მთელი ხალხის ბედის მდგარი გამომჰქედელი რესპუბლიკა შენ მოგჩერებია დღეს და შენ უნდა იყო ნამდვილი რაინდი, რომელიც სიცოცხლეს გასწირავს, მოკვდება და არ უღალატებს თავის სინიღისს მაშ არც თავის სამშობლოს უღალატებს.

რკინა, ტყვია, ნავთი და სხვა. განსაკუთრებით მდიდარია ჩვენი ქვეყანა სპილენძით. ისტორია გვიმტკიცებს, რომ მისი წარმოება ძველათაც დიდათ იყო ჩვენში განვითარებული. ცალკე უნდა მოვიხსენოთ შავი ქვის წარმოებაც; შავი ქვა სხვაგანაც მოიპოვება ქვეყანაზე, მაგრამ სხვაგან იმ სიღრმეზე იგი მოთავსებული და ისე ცოტაა, რომ მისი დამუშავება აუტანელ ხარჯებს იწვევს. ჩვენში კი იგი რაღაც სასწაულის წყალობით დედამიწის ზედა პლასტებშია და ისიც უხვათ მოთავსებული. თვისებითაც იგი უკეთესია. ამიტომ ვერ უწევს და ვერც გაუწევს ქიათურის წარმოებას სხვა ქვეყანა კონკურენტისა. ნავთის წარმოება თუმცა არაა ჩვენს საზღვრებში განვითარებული, მაგრამ ბაქოს წარმოებაც დიდათ შეუწყობს ხელს ჩვენი ზღვაოსნობის განვითარებას. საქონლის გადაზიდვა ზღვით გაცილებით იაფი ჯდება ვიდრე ხმელეთის გზით. მაშასადამე ბაქოს ნავთი ჩვენი პორტებიდან უნდა გაიზიდოს ევროპაში. ნუ დავივიწყებთ, რომ 1906 მდის მსოფლიო ბაზარზე ბაქოს ნავთი სჭარბობდა ამერიკისას. ეს იმას ნიშნავს, რომ კაცობრიობის დიდი ნაწილი ბაქოს ნავთს ხმარობდა. ეჭვს გარეშეა მომავალშიაც ასე იქნება. რადგან ბაქო დასავლეთელებს ხელში გადადის.

ვინ იცის რამდენი სიმდიდრე მოიპოვება კიდევ

როდესაც შენ გამარჯვებული ბრუნდები ბრძოლის ველიდან, როდესაც მთელი ქართველი ერი აღტაცებით ისმენს შენს საგმირო საქმეებს, მე ქედს ვიხრი შენი გმირობის წინაშე, შენი სინიღისის წინაშე.

ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს ნადირსა შავი ტყისასა.

ვინ ამარცხებდა ძველათ შემოსეულ მტერს? ვინა და ჩვენი ბეგლები, ქართველი ხალხი.

ჩვენი წინაპრები სხვას არას ერჩოდნენ, სხვების სამშობლოს არ აოხრებდნენ, მაგრამ თუ ვინმე ჩვენს სამშობლოს შამოესეოდა, ჩვენი ბეგლები ლომებით ეკვეთებოდნენ ხოლმე.

ქართველი ჯარის კაცია — სიმართლის დროშითა და მამულის სიყვარულით გულგაკაეებული — რომ დღესაც კუდით ქვას ასროლინებდა შემოსეულ მტერს, ამაში განა ეჭვი გვქონდა ვისმეს?

მე ვიხილე შენ ჯარის კაცი, როდესაც ბრძოლის ველისაკენ მიეშურებოდი. გულის ფანცქალით შამოგაჩერდი, რომ წამეკითხა შენს სახეზე, რაც მოგველოდა: სირცხვილი, თავლაფ დასხმა, თუ გამარჯვება და უკვდავი სახელი. შენმა თვალებმა მე ყოველივე მაუწყეს. მე ვიცოდი, რომ გამარჯვებას მტერი ვერ წაგგლეჯდა ხელიდან.



ჩვენში, რომელიც უპატრონობის გამო ხელუხლებლათ იყო აქამდის დარჩენილი.

იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენი საზოგადოება საკუთრივ თუ სხვის დახმარებით შემდეგში მაინც უპატრონებს მათ სამშობლოს საკეთილდღეოთ.

განვიხილოთ ესლა ჩვენი ზღვის ნაპირის სიაჯკარგე—ჩვენი პორტების ვითარება. წინდაწინვე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ აქაც კარგათაა საქმე. არც აქ დაზარებია ბუნებას ჩვენდა სასარგებლოთ გამოეჩინა სიუხვე. ჩვენს საზღვაო ხაზზე ხშირია პუნქტები, რომელნიც სავარგონი არიან გემების გასაჩერებლათ, მათ დასატვირთავათ და დასაცლელათ. სანამ ჩვენი პორტების დახასიათებას შეუდგებოდეთ უნდა აღვნიშნოთ, რომ პორტები ორგვარნი არიან: ბუნებრივი და ხელოვნური. ბუნებრივი პორტი ჩვეულებრივ ზღვის უბეს ან მდინარის ჩასართავს წარმოადგენს. კარგი პორტი შემდეგ თვისებებს უნდა შეიცავდეს. პირველ ყოვლისა იგი საკმაოთ დიდი და ღრმა უნდა იყოს. გემებს არ უნდა უჭირდეთ მასში შესვლა-გამოსვლა. იგი კარგათ უნდა იყოს ტენიკურათ მოწყობილი გემების დასატვირთავათ და დასაცლელათ. მას უნდა ჰქონდეს კარგი პაკაუზები დოკები და რკინის გზები აუცალბებელ საჭიროებას წარმოადგენს კარგი პორტისთვის კარგი რეიდიც. ე. ი. ის ადგილი, სადაც გემები ჩერდებიან პორტში შესვლამდის. კარგი

რეიდი ჯერ გარს უნდა იყოს მოფარებული. შემდეგ საშუალებას უნდა აძლევდეს გემს ლუხაზე და მაგრდეს.

ბუნებრივ პორტებს ჩვეულებრივ ბუნებრივი რეიდებიც აქვთ, ხელოვნურებს კი სრულიათ არ გააჩნიათ ისინი, რადგან ხელოვნური რეიდის გაკეთება უზარმაზარ ხარჯებს იწვევს და სახელმწიფო მხოლოთ სამხედრო პორტებს უკეთებს მათ.

მიუბრუნდეთ ესლა ჩვენს პორტებს. დავიწყოთ ტუპსედან და შემდეგ ქვეით ჩავეყვით. ტუპსეს პორტი ქალაქის დასავლეთით მდებარებს. იგი სხვა-ნაირათაა გაკეთებული. ზღვის კიდიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მისდევს ნაშენი (მოლხ), რომელიც შემდეგ დასავლეთისკენ უხვევს. კედლის სიგრძე მოხვეულამდის 225 საყენს უდრის. მიხვეულიდან—160 საყენს. პორტი ვერაა კარგათ მოწყობილი, ეს იმით აიხსნება, რომ იგი ახალ-დაწყებულია და დაუმთავრებელი. პორტს აქვს კარგი რეიდი. მაიაკი არ არის, მის მაგიერობას მუდამ ცეცხლი სწევს. რომელიც შორიდანვე უჩვენებს მებლვაურთ პორტის მდევარობას. როდესაც გემი მიახლოვდება ცეცხლითვე უჩვენებს მას, სად უნდა დამაგრდეს ის ლუხაზე. შექმდეს პუნქტს სოკი წარმოადგენს. პორტი თუმცა არ არსებობს აქ, მაგრამ გემები ჩერდებიან ბუხტში, რომელიც იფარავს მათ

მაგრამ ხომ იცი, გამარჯვებული ჯარის კაცი მთავრობის კი არა, თავის თავს აღარ ეკუთვნის, ის მთვრალია გამარჯვებით.

და აი სწორეთ აქ არის მისი შეჩერება ძნელი.

როდის უნდა ხმლის ამოღება და როდის ჩაგება—ამისი გაზომვა მთავრობის საქმეა.

ხმლის დროზედ ამოღება უსათუოთ ვაჟაკობაა, მაგრამ დროზედ ჩაგება ვაჟაკობასთან ერთათ სიბრძნეც არის.

როდესაც გიხმო მთავრობამ, შენ თვალის დახამხამებაზედ უმაღ იშიშვლე ხმალი და გადაეშვი მტრის ბანაკში. მაშინ ქაჯეთს მიაწია უსაზომო რისხვა ღვთისა. შენმა რისხვამაც მტერს თავზარი დასცა და მალე გიჩვენა მან ზურგი.

შენ გალობელი მისდევდი მას კვალ და კვალ, არ აძლევდი საშუალებას, რომ გონს მოსულიყო. შენ გამარჯვებით იყავი ეშხში მოსული. აღარავინ არაფრათ მიგაჩნდა, ველარავის ველარ ჰხედავდი, მტრის გარდა.

და აი ამ დროს ბრძანა მთავრობამ: ააგე ხმალი.

უნდა გამოგიტყდეს მეტად ძნელია გამარჯვებული ხმლის ქარქაშში ჩაგება,—ის ქარქაშში აღარ ვტევა.

—შეუძლებელია, ჩვენი ჯარის კაცი ხმალს არ ჩააგებს! გაისმოდა აქეთ იქიდან.

გულს მეც გამკრა ელვასავით იქნებ მართლაც არ შეჩერდეს ჩვენი ჯარისკაცი მეთქი.

მაგრამ იმ წამსვე მე თვითონ შემრცხვა ჩემი ეჭვისა.

შენ შედეგში დაანებე თავი გაქცეულ მტერს. ხმალი ქარქაშში ჩააგე და ამით დაამტკიცე, რომ შენ გულით მტკიცე ხარ, მკლავით მაგარი, შეგნებით და სინიდასით მაღალი.

მერწმუნე მოვალეობის შეგნება სინიდასის თავის ალაგზე რაინდობას ჯობია.

მთავრობამ გიხმო,—შენ მტერს ეკვეთე.

მთავრობამ ბრძანა,—შენ გამარჯვებული შესდექი.

იცოდე ეს მეორე გამარჯვება პირველზედ უფრო ღირს შესანიშნავია.

შენ თვითონ კარგათ იცი ჯარი თუნდა გოლიათებისაგან, დევგმირებისაგანაც რომ შესდგებოდეს, მაინც ვერ გამარჯვებს, თუ თავის სარდალს არ ემორჩილება.

და რაც უნდა გამარჯვებული და ძლევამოსილი იყოს ჯარი, ის სამშობლოსთვის უსარგებლოა,



(ოდნავ მაინცა ქარებისაგან. რაკი ქალაქი მოშო. რებით რჩება, მასა და ბუბტს შუა ფელიუგები მუშაობენ. აქ არის მაიაკიც.

შემდეგ მოჰყვება ადგერი არც აქა პორტი, რედიც ყოვლად უვარგისია, რადგან ზღვის პირის უსწორ-მასწორნი ქარები და ზღვის უსვენარობა ძალიან უძნელებენ გემებს აქ დგომას. ახლა ჩავყვით ქვევით.

გ. ჩ.

### მოკლა რჩევა.

ახალ ჯარის კაცების მასწავლებელ ოფიცრებს.

წერილი II.

პირველ ჩემს წერილში მე ვსწერდი, თუ როგორი ყურადღება უნდა ექნეს მიქცნული ახალ-ჯარის კაცებს ყაზარმაში მოსავლის პირველ დღეს როგორ უნდა დაფაენოთ ისინი თავიდანვე კეთილგზაზე, როგორ უნდა გავეცნოთ და დაუზღოვდეთ მათ, რომ თავიდანვე გვიცნონ ჩვენ, როგორც მათი ერთგულნი და ნდობის ფვალით შეგვხედონ.

ეხლა მე მიწდა გავიზიაროთ ჩემი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადავსდგათ პირველი ნაბიჯი და შეუდგეთ მათ სწავლა-აღზრდას.

პირველ ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ

თუ მთავრობას—ხალხის მიერ არჩეულ მთავრობას—არ ემორჩილება.

შენ დაუმტკიცე ყველას, ჩვენო ჯარისკაცო, რომ ღირსეული შვილი ხარ ქართველი ერისა, ღირსეული ღამცველი სამშობლოსი და თავისუფლებისა და ღირსეული ყავარჯენი ჩვენი მთავრობისა.

შენ დაამტკიცე, რომ ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰყავს საიმედო ჯარისკაცი. იყავი დღეგრძელი, ჩვენო ჯარის კაცი, ჩვენი მშრომელი ხალხის სასიხარულოთა და საბედნიეროთ და მისი მტრების გულგასახეთქათ.

იყავი მუდამ მზად, რომ მთავრობის პირველი დაძახებისა თანავე დაიცვა შენი სამშობლო და შენი განთავისუფლებული ერის უფლებანი მტკიცეთ და შრისხანეთ, როგორც შეეფერება ნამდვილ რესპუბლიკელსა და რევოლუციონერებს.

ივ. გომართელი.

მომეტებული ნაწილი ჯარის-კაცებისა უნდა იყოს მუშა არის, ის, მართალია, მიჩვეულია დიდი დან სადამომდე ხენას-თუ თოხნას, მაგრამ ყაზარმაში შეუჩვეველი ერთი საათის მუშაობა მისთვის უფრო ძნელი და აუტანელია ვიდრე მთელი დღე მინდვრად მუშაობა, ამისათვის უნდა ვეცადოთ, რომ პირველი გაკვეთილები მოკლე და ადვილი იყოს და თავიდანვე არ შევამთელოთ მაცადინებომა ჯარის კაცებს.

პირველ გაკვეთილად უნდა უბრალო ბაასით აფუხსნათ მისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, რა არის სამშობლო, როგორ უნდა გვიყვარდეს ის და რას გვავალებს იგი. შემდეგ უნდა აუხსნა ყველა ის წეს-წყობილება, რომელიც სუფევს გუნდში, როგორ უნდა მიმართოს თავის უფროსებს, ამხანაგებს და როგორი განწყობილება უნდა დაიჭიროს მათთან.

უნდა აუხსნა და დაარწმუნო ისინი, რომ მათ არაფერ არ შეევიწროვებს და შეაწუხებს სამსახურში, ყველა მათ მოეპყრობა ლომომიერათ და კანონიერათ. კარგი და ერთგული მოსამსახურე ყველას უყვარს. ეცადეთ ასწავლოთ ის რაც უფრო უსაქიროესია ჯარის კაცისათვისა ომიანობისა და მშვიდობიან დროს.

ყოველთვის დიდი ყურადღები უნდა ექმნეს მიქცეული საქმის შინაგან მხარეს, მინემ ფრმალურს. უნდა აღვკრძალოთ დაზვიბირება იმისა, რაც გაუგებარია და რისი შესწავლა უბრალო ბაასითაც შეიძლება.

ვინაიდან კარგად მომზადებული ჯარის კაცის მოვალეობა არის ზედ მიწვენით თოფის სროლა და ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება თუ თოფის სამიზნოზე აღნიშნული ციფრები ჯარის კაცს შესწავლული აქვს, ამისათვის მასწავლებელს არ უნდა დაავიწყდეს და პირველ დღიდანვე უნდა შეასწავლოს ციფრები მათ ვინც არ იციან. მასწავლებელს მთელი ყურადღება და სწავლის მიზანი იქით უნდა იყოს მიქცეული რომ აღზარდოს საუკეთესო საომრად მომზადებული და შეგნებული ჯარის კაცი, რომლის მთავარი დანიშნულება ის არის, რომ დაამარცხოს მტერი ბრძოლის ველზე.

ერთ გაკვეთილზე არ უნდა აუხსნა ძალიან ბევრი და არ უნდა დადალო და მოჰქანცო მოსწავლე ჯარის კაცი ყოველისფერი აუხსენით უბრალო და უდაბთო ენით.

მაცადინებობის დროს გამოიჩინეთ მოთმინება და სულდგმულობა.

მოსწავლეს შეცდომები გაუსწორეთ წყნარად, გაუმჯავრებლად.

ხშირად მოხდება, რომ ჯარის კაცები ნასწავლს



ვერ ითვისებენ. ეს გაუგებრობით მოსდის და არა იმითი, რომ არ სურთ რამე ისწავლონ,

თუ შეატყობთ მოსწავლეთ დაღლილობა, სწავლება დაუყონებლივ შესწყვეტეთ დროებით დაასვენეთ.

თავისუფალ დროს ჯარის კაცები სხვა და სხვა ვარჯიშობითა და თამაშობით უნდა გაართოთ.

კვირა უქმე დღე სიმღერით შემოატარეთ ქალაქის გარე ადგილები და აუზსენით და აჩვენეთ თუ რომ ღირს შესანიშნავია.

იყავით ჯარის კაცებთან თავდაპირველი. როგორც მასწავლებელი, მომზადებულნი იმაში, რაც უნდა ასწავლოთ. მერწმუნეთ რომ თუ ერთხელ უცოდინარობა შეგატყობა ჯარის კაცმა, სამუდამოდ დაჰკარგავ ნდობას და ათვალწუნებული გახდებით.

ერთი სიტყვით, იყავით მათთვის. ყოველთვისა და ყოველადღეში მაგალითად და მაშინ უფრო გაგეადვილებათ თქვენი მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო საქმე—ჯარის კაცის აღზრდა განვითარებისა.

ავ. აბესაძე.

ოფიცერთა საკითხი ჯარში.

უკანასკნელ ჩვენს წერილში, ჩვენი მკითხველის ყურადღება მივაქციეთ იმ დებულებებს, თუ სამხედრო შკოლის მოწაფეებისაგან როგორ უნდა მომზადდეს ჯარისკაცთა აღმზდელი და მასწავლებლები, ჩვენ განსაზღვრეთ მნიშვნელობა „სამხედრო პედაგოგიკისა“ და აღვნიშნეთ სხვა და სხვა განყოფილების შესასწავლათ ცალკეობრივი მომზადების აუცილებლობა. „სამწკრივო მომზადებით“ საკითხი რომ სავსებით დავასრულოთ უნდა განვამტკიცოთ კიდევ სამწკრივო უფროსებისთვის ახალგაზდათა მომზადებით საშვალება. რასაკვირველია, ორი აზრი არ შეიძლება იმის შესახებ, რომ მხოლოდ პრაქტიკული გზით შეიძლება საუკეთესო შედეგებს მიადწიო. და ეს განსაკუთრებით სამხედრო საქმეზე ითქმის და კერძოთ ამ საკითხზე.

ყოფილი რუსული სასწავლებლები ამ მხრივ ძლიერ მოიკოტლებდა. პრაქტიკული მხარე არ უფარგოდა. ჩვენ, ჩვენი სამხედრო შკოლის ორგანიზაციის დროს, ძველ დროთა გამოცდილებით უნდა ვისარგებლოთ და ყოველ მხრივ უნდა ვცვალოთ ნაკლი და მახინჯი მხარე უკუვავადოთ. მაშასადამე, ჩვენმა მომავალმა სამხედრო შკოლამ თავისი მოსწავლენი პრაქტიკული გზით უნდა მოამზადოს და კარგათ გაწვრთნას უმცირესი სამწკრივო უფროსები. ჩვენი ღრმა რწმენით, ამისათვის აუცილებელია, რომ სამხედრო შკოლასთან არსებობდეს დროებით — მსახურ ჯარისკაცთა განსაკუთრებ-

ული რაზმი. ასეთი რაზმი, რომელიც მუდამ სამედრო შკოლასთან იცხოვრებს, იქნებ ის მასალა რომელზეც ივარჯიშებენ შკოლის მოსწავლენი; იქნება ის ბუნებრივი და ნედლი მასალა, რომელთანაც შკოლის მოსწავლეთ პირდაპირი დამოკიდებულება ექნებათ, პირველ სამწკრივო ხელმძღვანელებათ შეიქმნებიან.

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მოსწავლეთა სამწკრივო მომზადება უნდა განიცადონ თვით სამწკრივო და ტაქტიკურ მომზადებათ. ჩვენ დროებით გვერდზე გადავდებთ ტაქტიკურ მომზადების საკითხს, რომელიც მჭიდროთ არის დაკავშირებული სამხედრო—სამეცნიერო მომზადებასთან, და რომელიც შკოლის მთელი კურსის გვირგვინია. ჩვენ ჯერ შევეხებით თვით სამწკრივო მომზადებას.

სამწკრივო მომზადებამ შკოლის მოსწავლეებიდან უნდა გამოიშუშავოს ისეთი უფროსები, რომელთაც სავსებით კარგათ ეცოდინებათ რაზმის მჭიდრო წკრივის ხელმძღვანელობის ხელოვნება. გამოვდივართ რა იქედან, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სასურველთა დამკვიდრება შემდეგი წესრიგისა ამგვარ მომზადებაში: ცალკეობრივი მომზადებათა და სამწკრივო წესდებიდან შესაფერი განყოფილების გავლის შემდეგ, რომელიც განსაზღვრავს მწკრივში ცალკე უფროსების მოვალეობებს,—უნდა დაიწყოს პრაქტიკული გავლა ამ მოვალეობებისა მწკრივში სწორეთ იმ რაზმში, რომელიც ჩვენ მოვიხსენიეთ ზემოთ. მოვალეობათა საფუძველიანი პრაქტიკული ცოდნა, რის შეძენაც 2-3 ვარჯიშობა დასჭირდება, უფლებას მისცემს პრაქტიკულათვე შეისწავლოს რაზმის ხელმძღვანელის მოვალეობა, მაგრამ ეს მას შემდეგ, რაც თეორეტიულათ გაივლის შესაფერ განყოფილებას სამწკრივო წესდებიდან. უფრო რთული მოვალეობა მოიხსნოს უფრო მეტ ვარჯიშობას. თუ რამდენჯერ უნდა იყოს ვარჯიშობა ამის აქედან თქმა შეუძლებელია. ეს დამოკიდებულია თვითეული სუბიექტის უნარიანობისაგან. საერთო წესივით ერთი უნდა დამკვიდროთ: რაზმის ხელმძღვანელის მოვალეობათა პრაქტიკაც შესწავლაზე გადასვლა მოსწავლესათვის მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა სამწკრივო უფროსობა განსაკუთრებული გამოცდის შემდეგ დასკვნის, რომ ეს სუბიექტი შეიძლება დაშვებულ იქნას სამწკრივო შემდეგი განვითარების კურსის შესასწავლათ. უნცროს სამწკრივო უფროსთა როლისათვის ახალგაზდათა მომზადება იმ წესით, როგორც ჩვენ აქ აღვნიშნეთ, ჩვენის აზრით, ერთად ერთი საშვალებაა, რომ საუკეთესო შედეგებს მივადწიოთ. შეიძლება სთქვან, რომ ამისთვის სულაც არ არის საჭირო შკოლასთან განსაკუთრებ-



ბული სამწკრივო რაზმის დაარსება, რომ ამისათვის შეიძლება ვისარგებლოთ გარნიზონის რაზმებით და უკიდურეს შემთხვევაში უამისოთაც ვაწარმოოთ. ნაწილების ამისათვის მოხმარება ტექნიკურად ძნელია, რადგან ჯარის ნაწილები თავისი საკუთარი ცხოვრებით, ცხოვრობენ ასრულებენ საგარნიზონამსახურს და დარწმუნებით ვამბობთ, რომ სამხედრო შკოლაში რაზმების მივლინება, და ამავე დროს რეგულიარული მივლინება, დიდ ზარალს მიაყენებოდა ჯარს და მით უფრო, რომ ჯარის ნაწილები ბს იძულებული იქნებიან სამხედრო შკოლასგანკარგულებაში მისცენ რჩეული რაზმი, რადგან ყველა კარგათ ვიცით, თუ მშვიდობიანობის დროის რაზმის შემაღენლობა რას წარმოადგენს. და სულ რომ უარყოთ სამხედრო შკოლასთან განსაკუთრებული რაზმის დაარსების პრინციპი, — ეს ძველი შეცდომის განმეორება იქნებოდა. მაშასადამე, სამხედრო შკოლასთან გინსაკუთრებული რაზმის არსებობა, რომელიც შკოლის სრულ განკარგულებაში იქნება, არსებითათ უსაჭიროესია. იმის თქმა, რომ ეს მეტ ხარჯებს გამოიწვევს, უსაფუძვლოა და ყურადღების ღირსიც არაა. მით უმეტეს, რომ ეს რაზმები შეიძლება სხვა მიზნისათვისაც გამოვიყენოთ, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დროსაც, თუ ჩვენ წესათ აღვიარებთ, რომ ამ რაზმებში უნდა მიიღებოდეს ისეთი პირები, რომელთაც დაბალი წასწავლებელი დაუსრულებიათ, მივიღებთ დიდებულ მასალას მათგან უნტერ-ოფიცრების მოსამზადებლათ ამითაც გადაწყვეტთ მწვავე საკითხს ჩვენ ჯარში უნტერ-ოფიცრების შესახებ. მობილიზაციის გამოცხადებას კი ეს რაზმი შეიქნება მშვენიერ კადრათ (სამხედრო შკოლის სამწკრივო პერსონალთან ერთად) მთელი პოლიკის მოსაწყობათ. ამგვარათ, სახელმწიფოს მიერ ამ რაზმებზე დანახარჯი უნაყოფოდ არ ჩაივლის, რასაკვირველია, თუ გონივრულათ მოიხმარებენ მათ. აქ აუცილებლათ უნდა დაეუმატოთ ის, რომ სამხედრო შკოლასთან ასეთი რაზმის არსებობა საშვალებას მისცემს პრაქტიკულათ შეისწავლონ სამწკრივო მომზადების სხვა განყოფილება, როგორც მაგალითათ: სამხედრო-პედაგოგის საქმით წარმოება, ცალკობრივი განსწავლა, იარაღის შესწავლა და სხვა. ამას გარდა, ეს რაზმი დაუფასებელ სარგებლობას მიუტანს ახალგაზდებს მათ მოვაჯეობის აღსრულების დროს ტაქტიკურ დამოკიდებულებაში ასე იგი ბრძოლაში.

(გაგრძელება იქნება)

ი — ძე.

საქართველოს სამხედრო ისტორიიდან

(ბ. ი. გედევანიშვილის წიგნიდან „სამხედრო ხელოვნება საქართველოში“)

ცენტრალურ ასპარეზის ხელში ჩაგდებით და აქ დამკვიდრებით შემოსეული მტერი მთელი საქართველოს ბატონად ხდებოდა და მთელს სახელმწიფოს შუაზე არღვევდა: დასავლეთ-საქართველოს სწყვეტდა აღმოსავლეთისას და იადვილებდა როგორც დასავლეთის ასპარეზში შესევას, აგრედვე კახეთის დაპყრობასაც. ზემოდ აღვნიშნეთ, რომ დასავლეთ საქართველოში შესევა, ე. ი. არსიანის მთის გადალახვა შედარებით უფრო ადვილი იყო, ვიდრე სამხრეთის მხრით შესვლა, სადაც მთელი რიგი მთებისა და მდინარეებისა წინ ელობებოდა. ამიტომაც არის, რომ ვიდრე ცენტრალურ ასპარეზის საზღვრები სათანადოდ არ გაამაგრეს და არ დაიმკვიდრეს, ვერ შესძლეს ქართველებმა საქართველოს საბოლოო გაერთიანება. ამიტომაც არის, რომ მას შემდეგ, რაც თურქებმა შემდეგში საბოლოოდ წამგლიჯეს საქართველოს ცენტრალურ ასპარეზის სამხრეთი ნაწილი, საქართველომ ვეღარ გაისწორა წელი, ვეღარ გაუძლო მტერს, უღმობელ ბედის წინაშე მოიხარა ქედი და „ჩრდილოეთისაკენ“ ალაპყრო თვალნი.

შუაგულ ასპარეზის საერთო განხილვის შემდეგ, გავითვალისწინოთ ის მთავარი საოპერაციო მიმართულებანი, საიდანაც მტერს შეეძლო მაშინდელ საქართველოში შექოსევა. დავიწყოთ სამხრეთ-დასავლეთიდან. როგორც ვსთქვით, შემოსევა მდინარეთა ველებით და მათათა შუახევეებით შეიძლებოდა კარნუა ქალაქის (არზრუმი) წამოსულ ჯარს შეეძლო გადმთელახა ბანსიანი და მდ. ოლთისის ველით გადმოეგლო ოლთისი, კოლა და შემდეგ ზემო მტკვრის ველით არტანის მის დგომოდა. არტანის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ შემთხვევაში; აქედან შეიძლებოდა როგორც დასავლეთის ასპარეზში, არსიანის მთის გადალახვით შესევა (არტანუჯში გადასვლა), აგრედვე არსიანის მთის მდმოსავლეთით სამცხეში გადასვლა და ახალციხის დაპყრობა. აქედან კი მტერს შეეძლო როგორც აჭარაში, აგრედვე ლდოს მთის გადალახვით, ქუთაისისა-ბორჯომის ხეობით ზემო ქართლში შესევა და ქ. გორის დაპყრობა შეიძლებოდა; აღნიშნული გზით წამოსულ ჯარს შიში მოელოდა მხოლოდ დასავლეთ ასპარეზის მხრით. კლარჯეთ-შავშეთ-აჭარის მხრით შეიძლებოდა მას გვერდით დასცემოდნენ და უკან სახევი გზა გადა-



ეჭრათ. მაგ., ციხე ანაკერტისა არსიანის კარის ან და ციხე გოდერძის მხრით, მაგრამ ამ შემთხვევაში მტერს შეეძლო იმავე ზემო მტკვრის ველით დაეხია, მთა კოლისათვის აღმოსავლეთით მოეარა და კარის (ყარსი) მიდამოებში გადასულიყო.

არტაანიდან შეიძლება ჯავახეთში შესევა მდ. მტკვრის ხეობით. ჯარი პალაკაციოს ტბას (ცხლანდელი ჩარდილგელ) ჩრდილოეთით მოუვლიდა და ახალქალაქს დაიპყრობდა. ახალქალაქიდან კი მას შეეძლო გალაშქრება: ბაკურიანს გადალახავდა და ბორჯომის ხეობაში ჩავიდოდა ან და ფარავნის ტბას ჩრდილოეთით ასცდებოდა და მდ. ქციის (ხრამი) სამშვილდეს მიადგებოდა, რომელიც წინა საფარი იყო ტფილისისა.

ცხადია რა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა აღნაშნულ სამკუთხედს — არტაან-ახალციხე-ახალქალაქი. ეს იყო შუაგული, ციტადელი მთელი იმ ბუმბერაზ ციხისა, რომელსაც წარმოადგენდა საქართველო. ამ სამკუთხედის ხელში ჩადგებით და აქ დამკვიდრებით მტერს საშუალება ეძლეოდა თავისუფლად ეწარმოებინა ოპერაციები მაშასადამე საქართველოს ცენტრალურ ასპარეზის და მთელი სამეფოს დაცვისათვის აუცილებლივ საჭირო იყო აღნიშნულ სამკუთხედის მედგარი დაცვა და გამაგრება. მეორე მიმართულება, რომლითაც შეიძლება ცენტრალურ ასპარეზში შემოსევა, იყო კარის მიმართულება. ხოროსნიდან წამოსული ჯარი ჩრდილოეთით რახს გადალახავდა, აღმოსავლეთით მოუვლიდა სოღანლუღის მთებს და მიადგებოდა კარს (ყარსი). აქედან კი მას შეეძლო ან არტაანში ან და ახალქალაქში გადასვლა, კარიდან შეიძლება აგრედვე ჩრდილო-აღმოსავლეთით გალაშქრება. იგი გადალახავდა სომხითის მთებს (ბეზაბდალის გადასავალი) და ჩავიდოდა ლორის მინდორში. აქედან ან სამშვილდეს მიადგებოდა, ან და მას სამხრეთ-აღმოსავლეთით მოუვლიდა, შემდეგი მიმართულება საქართველოში გალაშქრებისათვის იყო ქ. ანისის მიმართულება. ქ. დვინიდან წამოსულ ჯარი დიადინს მიადგებოდა, შემდეგ რახს გადალახავდა იგდირს და ყულფის შუა და მიადგებოდა ქ. ანისს, ანისიდან მას შეეძლო, როგორც დასავლეთით კარისაკენ გალაშქრებამ აგრედვე ჩრდილოეთისაკენ ახალქალაქზე, ან და ჩრდილო-აღმოსავლეთით ლორის მინდვრით სამშვილდისაკენ ან და ლორიდან ბერდუჯის ხეობით უფრო აღმოსავლეთით გადასვლა. შთება კიდევ ერთი მიმართულება, რახსის ველი ნახჭევანიდან მოყოლილი ეჩმიადინ-ერევანმდე, ადარბაგანიდან წამოსულ ჯარს ამ მიმართულებით შეეძლო ჩრდი-

ლოეთისაკენ ტფილისის სამხრეთ სანახევებში შესევა, ან და გელაქუნის ტბის აღმოსავლეთით განდამაშქორისაკენ გალაშქრება, ე. ი. რანში შესვლა. ერევნიდანვე შესაძლებელი იყო წამოსვლა გელაქუნის ტბის დასავლეთის ნაპირით და მდ. ახსტაფის და შემდეგ მტკვრის ველებით ტფილისზე დაცემა. მთავარ მიმართულების განხილვა ცხადად გვიმტკიცებს, რომ ერთობ საქართველოს და კერძოდ მის ცენტრალურ ასპარეზის დაცვისათვის აუცილებლივ საჭირო იყო ოლთისის — კარის — ანისის — ლორის და შამქორის ხაზის დაპყრობა და გამაგრება. მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველოს დამცველთ ხელთ ეპყრათ ეს ხაზი, მხოლოდ მაშინ შეეძლოთ თავისუფლად სუნთქვა და სამეფო ცოტად თუ ბევრად უზრუნველყოფილიყო მნიშვნელობა ჰქონდა სამკუთხედს — არტაანი — ახალციხე — ახალქალაქი. ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ასპარეზის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში სამკუთხედს — არტაანი — ახალციხე — ახალქალაქი. ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ასპარეზის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში სამკუთხედს, კარი — ანისი — ლორი. ამ ორ სამკუთხედში ერთიც რომ ჩავარდნოდა მტერს ხელში, ეს უკვე მისთვის დიდი გამარჯვება იყო სწორედ ამიტომ აუცილებლივ საჭირო იყო ზემოაღნიშნულ ხაზის მედგარი დაცვა და გამაგრება. საქართველოს სახელოვანი სარდლები კარგად ჰგრძნობდნენ ამას, მათ ეს კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული. ამ ხაზის დაცვა უსათუოდ აქტიური უნდა ყოფილიყო, ე. ი. ქართველების ჯარს უფრო სამხრეთით უნდა გაელაშქრა, აქტიურ მოგერიებითი ბრძოლა ეწარმოებინათ, რა წამს მათ საკმაო ძალა მოიკრიბეს რა წამს მოლონებდნენ, შეერთდნენ მაშინავე შეუდგნენ ამ აქტიურ მოგერიებითი ბრძოლას. გალაშქრება კარნუ ქალაქისაკენ, ხოროსანსა, ნახჭევან-თავრიზისაკენ ეს აქტიური მოგერიებითი თავის დაცვა იყო. თამარის დროს, როდესაც საქართველოს ძლიერებამ უწვევრვალესობამდე მიაღწია და მთელს მცირე აზიაში უძლიერეს სამეფოდ ითვლებოდა, ქართველების ჯარმა ტრაპეზუნთიცი კი აიღო მაგრამ თამარმა ეს სამფლობელო უწყალობა საბერძნეთის მეფეთა საგვარეულოს წევრს და ამით დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა გამოიჩინა საქართველოსთან შემოერთება სახეირო არ იქნებოდა, რადგანც ამ სამთავროს დაცვა-შენარჩუნება დიდს ძალას და შრომას მოითხოვდა.

ცენტრალურ ასპარეზის უდიდეს ნაწილს ქართლი შეადგენდა. დასავლეთით მას საზღვრავდნენ ლიხის და სომხითის მთანი; სამხრეთით იგივე



სომხეთის მთანი; აღმოსავლეთით რანი და შემდეგ ერეთი და კახეთი. ჩრდილოეთით ოვსეთი და ძუბუკეთი. ქართლის ნაწილები იყო ზემო და ქვემო ქართლი და გარდაბანი. ჩვენთვის საინტერესოა ეს უკანასკნელი ნაწილი. გარდაბანს, როგორც ირკვევა, შეადგენდნენ ეხლანდელი ბორჩალოს მაზრა, და ეხლანდელივე ტფილისის და გორის მაზრის ნაწილები მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარენი. გარდაბანი მთელი ქართლის საფარი იყო დასავლეთის, სამხრეთის და სმხრეთ-აღმოსავლეთის მხრით. გარდაბანს თითქოს განგებ აშენებული საზღვრები აქვს: სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მას უფლიან და ჰფარავენ სომხეთის მთები; ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მტკვარი და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ. ბერდუჯი. გარდა ამისა რენიდან ტფილისისაკენ მომავალი გზები გადაჭრილია მრავალი ხეებით და მტკვრის მარჯვენა შემდინარეებით. დასავლეთით ან სამხრეთით შემოსულ მტერს წინ გადაეღობებიან თრიალეთის ან და სომხეთის მთანი. ამ მხრით გარდაბანი ბუნებრივი საფარია ქართლისა ტფილისითურთ. გარდაბანშივე ტფილისის სამხრეთით განთქმული სამშვილდეს პოზიციამ, რომლის დაკარგვა თბილისის დაკარგვას მოასწავებდა ხოლომე. დანარჩენი ნაწილები ცენტრალურ ასპარეზისა იყვნენ: სამცხე (ქ. ახალციხით), ჯავახეთი (ქ. ახალქალაქით), არტაანი (ქ. არტაანი), კოლა და ტაო (ოლთისით).

(შემდეგში იქნება.)

### ჩვენი სამხედრო ფორმების შესახებ

როგორც მოგეხსენებათ სამხედრო სამინისტროსთან დაარსებულია კომისია ჩვენი რესპუბლიკის ლაშქრის ტანსაცმელის ფორმის შესამუშავებლად. კომისია კარგა ხანია მუშაობს და კიდევ შეიმუშავა ეს ფორმა, მაგრამ ის ჯერ მიღებული და დამტკიცებული არ არის მთავრობისაგან. ამისთვის მე მგონია ჯერ კიდევ დაგვიანებული არ არის ამ საგნის შესახებ პრესის საშუალებით იქნეს აზრების გაცვლა გამოცვლა. მით უფრო, რომ ტანსაცმელის ფორმის სიჩქარით შემოღება დღეს დღეობით სხვა და სხვა მიზეზების გამო არც ისე საჭიროა და არც შესაძლებელია, ამისათვის სჯობს ცხრა ჯერ გაიზომოს და ერთხელ გადაიჭრას და კარგათ გადაიჭრას. ზედმეტად მივაჩნია იმის მტკიცება თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტანსაცმელის ფორმის ჯარისთვის, როგორც ვიგიენიურად ისე მორალურად. ჯარის ტანსაცმელის ფორმა უნდა იყოს გა-

მომხატველი გემოვნებისა, სულიერი სიმდიერისა და ხალხის სხვა და სხვა თვისებისა. აი ამას უთუოდ ანგარიში უნდა გაუწიოს. მე მგონია ყოველთვის და მით უფრო სამხედრო პირებისათვის მეტად აშკარა არის ის მოვლენა, თუ რა დიდ ანგარიშს უწევენ ჯარის კაცები მოხდენილ და კარგს ფორმას. ტანსაცმელის ფორმა სატარებლად მოხერხებული, უბრალო და ლამაზი. უნდა იყოს ლამაზი და მოხერხებული ტანსაცმელის ფორმა იტაცებს ჯარის-კაცებს ლაშქარში, ამაღლებს მათ სულიერად და აკავშირებს ჯარის ნაწილთან.

მე შემთხვევით მომიხდა დასწრება ჩვენი ჯარის ახალი ტანსაცმელის ფორმის დაფასების დროს. უნდა გამოტეხილად მოგახსენოთ, რომ მე მან სრულიად ვერ დამაკმაყოფილა. თითქმის ყველა ოფიცერი, ვინც კი ნახა ეს ფორმა უკმაყოფილო დარჩა. თითქმის არავისაგან მისი ქება არ მსმენია. სუყველაზედ უფრო მე პირადად არ მაკმაყოფილებს ის, რომ ამ კომისიის პროქტი ჩვენი ლამაზი, და მუდამ საიმედო სარტყელის მაგიერ შემოღებულია რუსული სირმის, მეტად არა საიმედო თავისი სიმაგრით სარტყელი; მეორედ და უმთავრესად ის, რომ ქვეითა ოფიცრებს სრულიად გრთმევედ უფლება ხმლის (ლეკურის) ტარებისა. ხმალი საქართველოში მუდამ იყო ემბლემა რაინდობისა და ისტორიულად მიჩვენულია ჩვენი ხალხი. მისი წართმევა ოფიცერთა ერთი ნაწილისათვის და დატოვება მეორესათვის არა სასურველს შთაბეჭდილებას მოახდენს. მართალია თანამედროვე ბრძოლაში ხმალი (ლეკური) ვერ არის ისეთი მოსახმარი, მაგრამ ეს ყველა დარგის ჯარებზედ ითქმის. მაშ რისთვის უნდა ჩამოერთვას მართო ქვეითა ჯარის ოფიცრებს. სადაც საჭირო არ იქნება არც წაიღებენ და ატარებენ. ხმალი უთუოდ უნდა მიენიჭოს ყველა ოფიცრებს, მიუხედავად იმისა თუ რომელი დარგის ჯარს ეკუთვნის. გარდა ამისა ნამეტანი განსხვავება ტანსაცმელის ფორმისა და იარაღისა, აგრეთვე სხვა რამე უპირატესების მინიჭებისა სხვა და სხვა დარგის ნაწილებისათვის გამოიწვევს ერთგვარ შურს და მტრობას ერთმანეთში. რასაც დიდი ადგილი ეკავა ყოველი რუსის ჯარში. მე როგორც ძველი სამხედრო მომსახურე ვაცხადებ, რომ ტანსაცმელის ფორმის მეტად განსხვავებამ და სხვა და სხვა უპირატესობის მინიჭებამ ზოგიერთი დარგის ნაწილებისათვის რუსის ლაშქარში ცუდი როლი ითამაშა.

განსხვავება სხვა და სხვა დარგის იარაღებში უნდა იყოს სულ უმნიშვნელო: საკმარისია ჰაგონების ფერებით განიჩიოდეს. ვიმეორებ ჯარის ტანსაცმელის ფორმა უნდა იყოს ერთსა და იმავე



დროს გამომხატველი სულისა, ზნე-ჩვეულებისა და სხვა თვისებისა იმ ხალხის, რომელსაც ეკუთვნის ეს ჯარი.

თუ მივიღებთ მხედველობაში ყოველივე ზემონათქვამს მე ვიძლევი წინადადებას რათა ჩვენი რესპუბლიკის ლაშქრისთვის მიღებული იქნას: ჩოხა, ახალუხი, ჩვეულებრივი ყელიან ჩუსტები, ყაბალახი და ბუხრის ქუდები, ოღონდ რამოდენიმე შესწორებით და გაადვილებით.

ამ ტანთსაცმელს ჩვენში მიღებული აქვს მოქალაქეობრივი უფლება. ტანთსაცმელის ფორმა უნდა განიყოფოდეს სამ ნაწილად: 1) სადღესასწაულო (парадная) 2) ყრველ დღიური და 3) სამგზავრო (походная):

1) **სადღესასწაულო:** ა) ჩოხა ადგილობრივი შალისა, ერთი ფერის ყველასათვის ჩვეულებრივზედ შემოკლებული, ბ) ახალუხი შემოკლებული შვინდის ფერისა, გ) ქუდი: სასამთროდ ბუხრის ქუდები და ყაბალახები ყველასათვის ერთი ფერისა, ხოლო ზაფხულში თუშური ქუდები და ტილოს ყაბალახები.

ყველანი ესენი შეიძლება სილამაზისთვის მორთული იოყს: ოფიცრის ტანთსაცმელი ვიწრო, ადგილობრივი სირმებით და სირმის გრებილებით, ხოლო ჯარის-კაცისათვის ფერადი გრებილებით და ზორნებით. დ) ფეხცაცმელები ყელიანი ადგილობრივი ჩუსტები. ყაბალახები შვინდის ფერისა.

2). **ყოველ დღიურ:** შემოდებული ჩოხები და ახალუხები ადვილად შესაბნევი ყოველ ნაირი ფერისა ადგილობრივი შალისაგან და ახალუხებიც სხვა და სხვა ჩითებისაგან, ვისაც როგორი სურს. ეგრეთვე ქუდები (ბუხრის ან თუშური) და ყაბალახები ვისაც რა ფერისა ჰსურს

3). **სამგზავრო:** იგივე რაც ყოველ დღიური, ზაფხულში შეიძლება უჩოხოთაც. სამგზავრო ტანისამოსად შეიძლება ვიქონიოთ აგრეთვე ყველასათვის ზამთარში ადგილობრივი შალის, ხოლო ზაფხულში ტილოს ორი ჯიბეებით ბლუზები და შარვლები, ზაფხულში ქუდები და ტილოს ყაბალახები, რომელიც საუცხოოდ იცავს სიცხისაგან, ხოლო ზამთარში ბუხრის ქუდები და შალის ყაბალახები.

სარტყელი-ადგილობრივი ტყავისა, სამი ოთხი ნაქერი ლითონისაგან. ოფიცრებს კი როგორც უნდა ისე მოაწყონ თავიანთი სარტყლები და ხმლები ვერცხლით, სეკადით თუ ოქროთი. ფარაჯის შესახებ მე შგონია თუ მოწონებული იქნა ეს პროექტი, მაშინ ფარაჯებიც ამ ტანსაცმელთან შესაფერი უნდა იქნეს, რასაკვირველია არა რუსული ფარაჯები, არამედ ჩვენში რომ იცვამენ ჩოხის ზე-

ვით იმ ნაირი: ცხენოსანი და არტილერიის მხარის სითვის კარგი იქნება ნაბდების შემოღება. რაც შეეხება სამგზავრო ხაბაკების და პატრონების სატარებელ ბოყვს, ამას კომისია შეიმუშავებს. ამისათვისაც უთუოდ საჭირო არის კონკურსი, რადგანაც ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველის მხრით.

**იარაღი:** ჯარის-კაცებს თოფი და ხანჯლები, ხოლო ოფიცრებს: ხანჯალი, რევოლვერი და ხმალი.

შარვლები სადღესასწაულო შვინდის ფერისა, ხოლო ყოველ დღიური ვისაც როგორ სურს და შეუძლია. ქილების ნაცვლად სადღესასწაულო და სამხედრო ფორმაში ყველას პატრონიბი, ხოლო საყოველღიური ოფიცრებს ნება დაერთოს ატარონ ჩვეულებრივი ქილები.

ლაშქარი სხვა და სხვა დარგის იარაღისა უნდა იყოს ერთნაირად მორთული, განსხვავება უნდა იყოს მხოლოდ პაგონების ფერით. პაგონებზედ არა მითქვამს რა, მაგრამ მათი ტარება ჯარში აუცილებლად მიმაჩნია, ოღონდ არა რუსულ პაგონებისა, როგორსაც დღეს ვატარებთ, არამედ სრულად განსხვავებულისა როგორც რუსის აგრეთვე სხვა ჯარებისაგანაც. ამისათვის შეიძლება დაინიშნოს კონკურსი.

თუმცა უნდა მოგახსენოთ, რომ პაგონების ის პროექტი, რომელიც სამხედრო სამინისტროში არის წარდგენილი მე პარადად მისაღებად მიმაჩნია. მაგრამ ყოველ შემთხვევაში უნდა დაინიშნოს კონკურსი.

ახლად შემოდებული „კაკარდები“ მე არ მკმაყოფილებს. ეს წვრიმალნია და შემდეგაც შეიძლება შემუშავდეს, ან სულაც არ იქმნეს ჩვენთვის საჭირო. რასაკვირველია საჭიროა ამ ტანისამოსის შემოდებისათვის დაინიშნოს როგორც მხატვრების აგრეთვე თერძების კონკურსი. ჩემი წინადადების მთავარი აზრია საფუძვლად დაედვას სამხედრო ფორმის შემოღებას უთუოდ ჩოხა და ახალუხი, რომლის სხვა სხვანადაირად შემოღება და შეცვლა რასაკვირველია დავალება ჯერ კონკურსს და შემდეგ კომისიას-ამორჩეულს სხვა და სხვა ნაწილებისაგან

კ. ბერიძე.

ძველ საქართველოს დამოკიდებულება ინგლის-საფრანგეთთან.

(წარსულ ისტორიიდან)

ინგლისის ჯარის შემოსვლამ ჩვენში ფრთები შეასხა საქართველოს მტრებს. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ დაუპირდაპირონ მტრებს საქართველოს ინ-



ტერმინები ინგლის-საფრანგეთისა და გამოგვიყვანონ ჩვენ მათ მოწინააღმდეგეობათ. მტრების ცდა რასაკვირველია ვერ გამოიღებს მათთვის სასურველ ნაყოფს. ჩვენ არა ვითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ინგლისელები მათს ხმას აყვებიან და საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას მოწინააღმდეგეთა რიცხვში მოათავსებენ.

წარსულიც გვიმტვაცებს, რომ გაქირვების დროს საქართველოს არა ერთხელ მიუპართავს ინგლის-საფრანგეთისთვის და მათ უარი არ უთქვავთ დახმარებაზე. აი მაგალითები: როდესაც ვახტანგ მეფე საკუთარ ძმის დახმარებით დაატყვევა სპარსეთის შახმა, მან კათოლიკე მოძღვართა რჩევით გადასწყვიტა მიემართა საფრანგეთის მეფე ლიუდოვიკ XIV-თვის და ეთხოვა მიეღო საქართველო თავის მფარველობის ქვეშ. ვახტანგს დიდი იმედი ჰქონდა საფრანგეთისა, რადგან საქართველო ერთად ერთი სახელმწიფო იყო წინა-აზიაში, რომელიც მტკიცედ იცავდა ქრისტიანობას. და მას დიდი იმედი ჰქონდა აგრეთვე კათოლიკური სამღვდლოებისა, რომლის გავლენა მე-XVII საუკუნიდან ძლიერ გაიზარდა საქართველოში. გარდა ამისა საფრანგეთის რეალური ინტერესებიც მოითხოვდნენ საქართველოსთან ურთიერთობის დაჭერას. საფრანგეთს სურდა საქართველოს კათოლიკობა მიეღო და ქართველების შემწეობით მთიულელებიც გაექრისტიანებინა. საფრანგეთი საქართველოში სავაჭრო ბაზარსაც ეძებდა. ვახტანგ მეფეს კარგად ესმოდა ყველა ეს და პირობას სდებდა ლუდოვიკთან, რომ უზრუნველ ყოფდა კათოლიკეთა მოძღვრებას და საფრანგეთთან აღებ-მიცემობას თავის საზღვრებში.

ეს ხელშეკრულობა დაახლოვებით შემდეგ პირობებს შეიცავდა:

1. ვახტანგ მეფე ითხოვდა საფრანგეთის მფარველობას და თან სურვილს აცხადებდა მიეღო კათოლიკური სარწმუნოება.
2. საქართველოს ხაზინიდან გაღებულ იქნებოდა საკმარისი თანხა, რომ კათოლიკეთა მისიონერებს შეძლებოდა ქონოდით მოექციათ ქისტები, ჩეჩნები და სხვა მთიულეები. ამ მიზნის მისაღწევად საფრანგეთს უნდა ეგზავნა საქართველოში საკმარისი რიცხვი მისიონერებისა
3. ფრანგ ვაჭრებს საქართველოში ეძლეოდათ თავისუფალ ვაჭრობის უფლება. მათ შეეძლოთ გაეტანათ საფრანგეთში ყველა ის ნიწარმოები, რომლებსაც იქ გასავალი ექნებოდათ. ამავე გზით ფრანგი ვაჭრები შემოიტანდნენ საქართველოში რაც ადგილობრივ იქნებოდა საჭირო.
4. თბილისიდან შავ ზღვამდის საქართველოს სამეფოს ხარჯით გაკეთდებოდა გზა, გაიმართებოდა

ფოსტა და სადარაჯო, რომ საფრანგეთის მიმართ თავისუფლად და უშიშრად შესძლებოდათ მიმოსვლა და ვაჭრობა საქართველოში. ასე იქნებოდა მოწყობილი გზა სპარსეთის საზღვრამდისაც. მეფე პირდებოდა საფრანგეთს, რომ თავის ხარჯითაც გადაზიდავდა სპარსეთში საქონელს. სამაგიეროთ ვახტანგი შემდეგს მოითხოვდა საფრანგეთის მეფისაგან, რომ მას უნდა მიეწერა წვრილი სპარსეთის ყენისთვის, რომ ვახტანგი გაენთავისუფლებიათ ტყვეობიდან და საქართველოში დაებრუნებია, მას უნდა მოეთხოვა სპარსელებისაგან, რომ საქართველოზე ქურდულათ თავდასხმისთვის თავი დაენებებიათ; ომი საქართველოს საზღვრის გადმოლახვამდის უნდა ყოფილიყო შეტყობინებული საქართველოს მეფისთვის. სპარსეთს ერთხელ და სამუდამოთ უნდა აეღო ხელი საქართველოს რბევას და ქართველების ძლიერად გადარჯულებაზე. გათათრებულებთაგან, ვისაც სურდა შეძლება უნდა ქონოდა ქრისტიანობას დაპბრუნებოდა. ასეთივე მოთხოვნები უნდა წაეყენებია საფრანგეთის მეფეს ოსმალებისათვის. ამ წერილის მისართმევად და პირადის მოხსენების გასაკეთებლათ ევროპას გაგზავნილ იქნა საბა ორბელიანი. 1712 წელს საბა ორბელიანი ვახტანგ მეფის წერილით და პირობით გაემგზავრა საფრანგეთს. თან ახლდა მისი ძმა ვახტანგ ორბელიანი.

საბა და ვახტანგი სტამბოლით გაემგზავრნენ რომს. სტამბოლში მათ მოგზაური რიშარიც შეუერთდა. 1713 წ. რომში, სან-ბაზილის მონასტერში ორივე ძმამ კათოლიკობა მიიღო. 1714 წ. საბა ორბელიანი რიშარის თან ხლებით წარსდგა საფრანგეთის მეფის ლუდოვიკის წინაშე და მიართვა მას ვახტანგ მეფის წერილი და სთხოვა ყურადღო საქართველოს მეფის თხოვნა და დახმარება აღმოეჩინა მისთვის.

ლუდოვიკი დაპირდა დახმარებას. ამ დაპირებით დაიმედებული და მინისტრ პონშანტერნის სიტყვებით გულ გამაგრებული საბა ორბელიანი დაბრუნდა სტამბოლს. აქ საბამ ერთი წელი დაჰყო საფრანგეთის კონსულის დე-ზალერის, მფარველობის ქვეშ, უკანასკნელს შეჰპირდა მას საფრანგეთთან შუამდგომლობას.

დიდის ხნის უნაყოფო ლოდინის შემდეგ, დაბრუნდა საქართველოში.

იმ ხანებში საფრანგეთში ისე აიწეწა საქმეები, რომ ლუდოვიკს აღარ სცალოდა საქართველოსთვის.

ქართველი მეფის ცდა ვერ დაბოლავდა სასურველად.



მიუხედავად ამისა მიწერ-მოწერამ ის შედეგი გამოიღო, რომ საქართველოს ყოფა-ცხოვრება შეიქმნა კულტურულ ევროპის ყურადღების საგნად.

[დასასრული იქნება]

პოლპ. იოსავა.

### გავაგებროთ ჯარი.

დღევანდელი მომენტი გვარწმუნებს, რომ ჩვენი ჯარი მიუხედავად მრავალ გვართა დაბრკოლებისა, ჩვენდა საბედნიეროთ, შესაფერ კალაპოტში ჩადგა.

მართალია წინათ ჩვენშიაც იყო იქა აქ, როგორც ღრობით მოვლენა, ბოლშევიკური გაბრუნის ცდა, მაგრამ ჩვენი თხიზელი დემოკრატიამ თავიდანვე უარჰყო ის გზა, რომელსაც დღეს ადგია ბალშევიკური რუსეთი. დემოკრატიის აღფრთოვანებას არ აქვს სამზღვარი, როდესაც იგი ხედავს წესით და დისციპლინით მოწყობილ ჩვენ რევოლუციურ ჯარს, რომელშიც უკვე მშვენივრათ შეასრულა ბრძოლის ველზედ თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე და სასტიკათ დაიცვა ის რევოლუციის ნაყოფი, რაც თვითონ სისხლით მოიპოვა. ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ამ მომენტით და დაუყონებლივ შევქნათ ის პირობები, რომელნიც კიდევ უფრო გააფართოვებენ და გაამაგრებენ ჩვენ ახალგაზდა ჯარს.

ჩვენ ყაზარმები უნდა გადავაქციოთ შკოლელებათ, სადაც ჯარის კაცები მიიღებენ გაწრთვანას, სწავლას და განათლებას. იქ მათ უნდა ისწავლონ, არა მარტო წერა-კითხვა და სამშობლოს ისტორია, არამედ ცოტაოდენი მანც სამეურნეო და საბაღოსნო საქმეც.

ამის გარდა ჯარის გამაგრება იმაში უნდა გამოიხატოს, რომ დემოკრატიულ პრინციპის თანახმად ეხლავე შემუშავდეს ყველა წესდებები და უარსაყოფი ფორმები უნდა გაუქმდეს.

კარგათ უნდა გამოირკვეს თუ როგორი განწყობილება და როგორი დამოკიდებულობა უნდა ჰქონდეს ერთიერთმანეთში ჯარის კაცსა და უფროსებს. ამ საქმეს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ჯერ კიდევ უწესოება და უსამართლობაა; ყველამ არ იცის, როგორ და რომელი წესით აასრულოს თავისი მოვალეობა.

თუ დღეს ეს ნაკლულოვანება არ ავიცილეთ თავიდან, გვიანლა იქნება,

უფროსებმა კარგათ უნდა შეიგნონ თავის მოვალეობა ჯარის მიმართ. ძველი რეჟიმის ტენ-

დენციებს უნდა მოელოს ბოლო და დამტკიცდეს ჩვენი დიდი წესრიგი, სამუდამო ურთიერთობა და დისციპლინა.

ოქუაშვილი.

### კულტურულ-განმანათლებელი საქმე ქართულ ჯარში.

როგორც მოგვსებათ კულტურულ-განმანათლებელ საქმეს ხეირიანად დაუყენებს ქართულ ჯარში დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება ბ. სამხედრო მინისტრმა და სამხედრო სამინისტროსთან დაარსა კულტურულ-განმანათლებელი სექცია, საქმისათვის წინ გასაძლიერად მოწვეულნი არიან ბ. პოლკოვნიკი ჩიქოძე და კაპ. ჩაჩანიძე, რომლებიც კიდევ შეუდგენ მუშაობას. სექციამ თავის მხრით მოიწვია საქმესთან ახლო მდგომი რამოდენიმე პირნი და მათის დახმარებით შეუდგა საქმის კეთილად დაგვირგვინებას. სექციამ თავის კრებაზე 18 იანვარს აირჩია წევრებათ შემდეგნი პირნი: გენ. იოსებ გედევანიშვილი, პოლკოვნიკი ჩიქოძე (ინსტრუქტორი); კაპიტანი ჩაჩანიძე (ინსტრუქტორი); ა. გორგაძე, ბ. ერისთავი, დ. ოქუაშვილი, ვ. გორგაძე, დ. ქარცივაძე, თ. ჩაქვანია, ბ. იოსავა, ბ. ქუთათელაძე, ბ. კეკელიძე და სხვა.

სექციის კრებამ გაარჩია თუ როგორ უნდა მოეწყოს კულტურული საქმე ჯარში. ახრთა გაცვლა-გამაცვლის შემდეგ სექციამ დაადგინა: 1) უპირველესად ყოვლისა მოაწყოს ჯარის ყველა ნაწილში სკოლები და განადოს საჯალდებულოდ წერაკითხვის სწავლება უსწავლეულ ჯარის კაცთათვის.

2) მოაწყოს სამკითხველოები და ბიბლიოთეკები. 3) მოაწყოს ხოლმე დრო გამოშვებით ჯარის ნაწილებში საუბარი საქართველოს ისტორიიდან და ბუნების მეცნიერებებიდან.

4) კინემატოგრაფის საშუალებით მოეწყოს ხოლმე ნაწილებში სურათების ჩვენება მარტოეი საუბარით. იმისთვის სექციამ დაადგინა თხოვოს ბ. სამხედრო მინისტრს შესაფერისი თანხა მისცეს კულტურულ განმანათლებელ სექციას კინემატოგრაფის შესაქენათ. ყოველივე ამის ასრულება კრებამ მიანდო სექციის ინსტრუქტორებს. ინსტრუქტორებმა ამის შესახებ ცნობები უკვე დაუგზავნეს ნაწილების უფროსებს. სთხოვენ მოაწყონ თავიანთ ნაწილებში სკოლები და სამკითხველოები ქართულ ურნალ-გაზეთებით და წიგნებით. იმედაია, ნაწილის უფროსები სიმპატიის თვალთ შეხედავენ ამ ფრიად კეთილ საქმეს და ენერგიულა მუშაობით შეივანენ ჯარში განათლებას.

ალ. გორგაძე.

### სამხედრო მინისტრი თალაპუი.

ბუნება სტირის. შავი კუბრივით ღრუბლები გაჰკვრია ცას. ის თითქმის სტირის, თითქოს ვილაც დაუკარგავს, ცრემლებსა აფრქვევს. მატარებელი ძლივს მიდის. გველივით დაკლანკული გზა და ნისლი მის სვლას აფერხებს. მთებს და ველებს ნისლის მანტია წამოუხსნამთ, თითქოს სცხვინათ



თავი დაგვანახოს, იმალება ვით პატარა ცელქი ქალი.

ცა ცრებლებს აფრქვევს.

მატარებელი ნელ-ნელა მიქშინავს.

ჩვენ უახლოვდებით ალაზნის ხეობას. მასაც ნისლი ჰფარავს და ეს დიადი და წარმტაცი სურათი რაღაც დიად საიდუმლოებას წარმოადგმს.

მზე არ არის, მზე. მისი ბრქვევიანი და ცხოველ მყოფელი სხივებისათვის ცივ-და-შავ ღრუბლები გზა გადაუჭრიათ, ტყვეთ მოუბწყვდევიათ...

...და სტირის ბუნება.

შეიძლება ამაზე.

დიად. მზის სხივები აკლია ქვეყანას. მაგრამ მზის სხივები გაჰფანტავს შავ ღრუბლებს და მზე ჩვენი, ვით განთავისუფლებული ამირანი. აღმობრწყინდება სამშობლო ცის ტატნობზე:

მისი სხივები მისწვდებიან ყველას.

გაბრაზებულათ ხენეშავს მატარებელი. ჩვენ უახლოვდებით თელავს.

აგერ სადგურიც.

საპატიო დარაჯი მე-ნ ქართველი პოლკისა მედიდურად სდგას.

ბრძოლის ველიდან გამარჯვებით დაბრუნებული ის ეხლა ეგებება თავის მამა-მეგობარ მინისტრს.

მუხიკა უკრავს ეროვნულ ჰიმნს.

ხმები მისა გულში გწვდება, შემდეგ იქარიან ნისლეში დამალავს და სადღაც კვდებიან.

შეიძლება სამშობლო მთების მწვერვალებზე. ისე, როგორც კვდებოდნენ მე-ნ პოლკის გმირები სანაინისა და სადახლოს მთების მწვერვალებზე.

...სამშობლოს იცავდნენ...

...იცავდნენ დემოკრატიის განადგურებებისაგან....

დიდება მათ, დამცველთ დემოკრატიულ რესპუბლიკისა.

მისალმებისა და ცერემონიალური მარშის შემდეგ შივიდვართ პოლკის ყაზარმებში. აქ ოთხ-კუთხათ დაწყობილია მთელი პოლკი.

... სამშობლოს დამცველებო, გამარჯვება თქვენი.

„ბ-ნ სამხედრო მინისტრს გაუმარჯოს“ გრიანებს პოლკი.

სამხედრო მინისტრმა მათ მიმართა, დაახლოვებით, შემდეგი სიტყვებით:

„ჯარის კაცებო და ბ. ოფიცერებო, მე თქვენ გიწოდებთ სამშობლოს დამცველთ. ეს სიტყვები ოქროს ასოებით იქმნება ჩაწერილი ქართველი ერის ისტორიაში; ეს სიტყვები უძვირფასესი ჯილდოა თქვენთვის.

როცა ჩვენს დემოკრატიას ქუჩებისა და მოედნების წამოვარა და მას განადგურებას უქაღდა, თქვენ მოგიწოდათ მთავრობამ, და თქვენც, როგორც ერთი კაცი, იქ გაჩნდით, სადაც მტერი იყო და თქვენი მკერდი მიუშვირეთ მუხანათ მტრის ტყვიას.

როგორც თქვენმა, აგრეთვე სხვა ნაწილების გმირულმა მოქმედებამ მოგვცა ჩვენ გამარჯვება. თქვენით ამაყობს ქართველი ერი, თქვენით შეუძლიან იამაყოს თქვენს დედებს, რომლებმაც ძუძუს რძესთან ერთად შეგაწოვათ სიყვარული სამშობლოსადმი. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუ კვლავ მოადგა ჩვენს სამშობლოს მტერი, თქვენ კვლავ მოხვალთ მთავრობის ძახილზე, როგორც ეს ეხლა ჰქენით. თქვენს გვერდში ბრძოლის ველზე მტრის ტყვიიდან ამხანაგებო ჯარის კაცებო, დაიღუბნენ თქვენი ამხანაგები, თქვენი ძმებო ჯარის კაცები და ხელმძღვანელები ოფიცრები.

იმათ არ დაივიწყებთ ქართველი ერი, მათი სახელები ძვირფას და საპატიო სახელებათ იქმნებიან შეტანილი საქარსველოს ისტორიაში, და თქვენ არასოდეს არ უნდა დაივიწყოთ ისინი. მოგონებისას. თუ ზიხარო ფეხზე დადებით და ქუდები მოიხადეთ, და აი ეხლაც, როცა მათ ვიგონებთ ეხლაც ქუდები მოიხადეთ. ყველანი ქუდს იხდიან სამარისებული სიჩუმეა. მუსიკა უკრავს. მისი გლოვის ხმები უფრო აღრმავებს იმ მოწიწების გრძობას, რომელსაც ყოველივე ჩვენგანი განიცდის დაღუპულ გმირების მოგონებაზე. მათი სურათი ცოცხლდება მეხსიერებაში...

თვალეები ცრემლებით ივსება...

დიხ ისინი გმირულათ დაიღუბნენ ბრძოლის ველზე და მათ დაიმსახურეს ქართველი ერის სიყვარული და საუკუნო სსოფნა.

ნეტარება თქვენ, დაღუპულნო არწივებო, თქვენს ხსოვნის წინაშე მუხლს იყრის მთელი ერი განურჩევლათ მისი კლასობრივი კუთვნილებისა.

„როცა დაბრუნდებით სახლში, ვისაც გიწვეთ სახლში დაბრუნება, განაგრძობს მინისტრი, გადაეცით მთელი ქართველი ერის გულის წყრომა და წყევლა იმათ, ვინც შეუშინდა ბრძოლის ველს და ლაჩრულათ დაიძალნენ. მადლობას გიძღვნით ქართველი ერისა და საქართველოს მთავრობის სახელით იმ სამსახურისათვის, რომელიც თქვენ გაუწიეთ სამშობლოს“.

„ვეცდებით ბ-ნო მინისტროო“ გრგვინავს პოლკი.

ცერემონიალური მარშის შემდეგ, მინისტრი ათვალისკრებს პოლკის ყაზარმებსა და საწყობებს. მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს ისინი.



გრძნობ, რომ აქ მუშაობს ენერგიული კაცი, მაგარი და გამოცდილი ხელები. დიდი ენერჯის კაცია პოლკის უფროსი პოლკოვნიკი თავაძე. აი, სწორეთ მას ჩაუყრია საძირკველი შეგნებულ დისციპლინისათვის. ბიბლიოთეკა-სამკითხველო, მშვენიერათ მორთული საავადმყო, ზრუნვა ჯარის კაცთა გონებრივ განვითარებაზე.

ჯარის კაცი ხედავს, რომ მაზე ფიქრობენ, მაზე ზრუნავენ, მას პატივისცემით ეპყრობიან, და ყველა ეს მას აიძულებს ისეთივე პატივისცემით და სიღინჯით მოეპყრას სამსახურსა და თავის უფროსებს.

დათვლიერების შემდეგ მიგვიწვიეს სადილოზე. სადილის დროს პოლკოვნიკმა თავაძემ და მისმა თემურებმა ფიცი დასდეს სამხედრო მინისტრის წინაშე, რომ ისინი არ დაიშურებენ არაფერს სამშობლოს დასაცავათ და იქ გაჩნდებიან, სადაც მათ თავრობა უბრძანებს.

სალამონ 9 საათზე დავსტოვეთ თელავი.  
კ. ბ.

### სამხედრო კომისიაში.

საპარლამენტო სამხედრო კომისიის მთელი დღევანდელი ყურადღება მიქცეულია იმ ჯარის ნაწილების კეთილდღეობისაკენ, რომლებიც, მიუხედავთ ომის შეწყვეტისა, სომხეთის ფრონტზე იმყოფებიან.

კომისია ერთი წუთითაც არ ივიწყებს ჩვენი ლომგმირების ბედს და მათზე დაუცბრომელ მზრუნველობას თავის საღვთო მოვალეობით სთვლის. წარსულ სხდომაზე კომისიამ კვლავ მოისმინა მოხსენება აღნიშნულ ჯარის მდგომარეობის შესახებ.

მოხსენება წაკითხულ იქნა გენ. ყიფშიძის მიერ და შეეხებოდა ჯარის მატერიალურ მდგომარეობას.

მომხსენებელმა აღნიშნა შემდეგი საყურადღებო მომენტი.

1) ჯარისათვის დროზე სურსათის მოწოდება დაკავშირებულია რკინის გზის მოქმედებასთან. მიღებულია საგანგებო ზომები სურსათის მოწოდების კიდევ უფრო გასაადვილებლათ.

2) სასურსათო საკითხის მოსაგვარებლად და სასურველ ნიადაგზე დასაყენებლად ჯარის საადმინისტრაციო განყოფილებისა და მიმწოდებელ კომიტეტის შორის მოხდა შეთანხმება, რომელიც ჯარის გამოკვების ან ჩაცმა-დახურვის საქმეს უფრო გააუმჯობესებს.

3) იმ ხმების გასაქარწყლებლად, — ვითომ ჯარი

განიცდიდა სასურსათო კრიზისს, — ფრონტზე გაგზავნილ იქნა საგანგებო კომისია — გენ. მაჭავარიანის თავმჯდომარეობით, რომელიც დარწმუნდა ასეთი ხმების სიყალბეში: საგანგებო კომისიის გამოკვლევით, ჯარი ასეთ კრიზისს ერთ დღესაც არ განიცდიდა. საგანგებო კომისიამ ამ საკითხის შესახებ თავისი დაწვრილებითი მოხსენება წარმოუდგინა სამხედრო მინისტრს.

4) უბინობის გამო რომ ჯარი ცუდ პირობებში არ ჩავარდნილიყო-საადმინისტრაციო განყოფილების მიერ დროზე გაგზავნილ იქნა ფრონტზე ეგრედ წოდებული იურტები.

5) პური იგზავნება ფრონტზე თბილისიდან. არის მიღებული ზომები, რომ პურის გამოცხობა მოეწყოს ადგილობრივ. რაც შეეხება ახალქალაქის რაიონს, იქ პური ადგილობრივად სრულიად საკმაოა.

არის განზრახული, და მალე სისრულეშიაც იქნება მოყვანილი, რომ ამ რაიონში მოეწყოს მოძრავი (ორთქლის საშვალეებით მომუშავე) წისკილები.

6) ფეხსაცმელების სახელოსნოების ინტენსიური მუშაობა, მომხსენებლის აზრით, იძლევა სრულ იმედს, რომ ამ მხრივ უზრუნველყოფილი იქნება.

7) მომხსენებელი აღნიშნავს ფრიად სამწუხარო მოვლენას იმის შესახებ, რომ ჯარის ზოგიერთი ნაწილები, თავის უფროსების გამო არა ჩვეულებრივის უმომჭირნობით ეპყრობიან სახელმწიფო ქონებას.

ამ გარემოებამ განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია კომისიის წევრების. გამოითქვა ის აზრი, რომ ასეთი ბოროტმოქმედება უნდა დანსჯილ იქნეს სავლევ სასამართლოს საშვალეებით.

საერთოდ გენ. ყიფშიძის მოხსენებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. კომისიის წევრები მოხსენებით სრული კმაყოფილი დარჩნენ.

ამ თვის 15-ს სხდომაზე სამხედრო კომისიამ განიხილა შრომის მინისტრის მიერ შემოტანილი კანონ-პროექტი — ომიანობის დროს ჯარში გაწვეულ მუშათა და მოსამსახურეთათვის ადგილებისა და ჯამაგირის შენახვის შესახებ.

კანონ-პროექტი შესდგება 11 მუხლისაგან და აზრად აქვს ეკონომიური ინტერესების უზრუნველყოფა იმ მუშებისა და მოსამსახურეების, რომელნიც ომიანობის გამო იძულებული იქნებიან თავიანთი სამსახური დროებით დასტოვონ.

კანონ-პროექტი ეხება მხოლოდ იმ მოსამსახურეებს, რომლებიც მსახურობენ ამა თუ იმ სახელ-



საქრებულო  
საქართველოს  
საბჭოთაო  
საპარტიო  
საგარეო  
საფარველი

მწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებში და რომლებიც დაკმაყოფილებულ უნდა იყვნენ ამ დაწესებულებათა მიერ.

რადგანაც კანონ-პროექტი უკუმოქმედი ხასიათისაა (იგი ძალაში შედის 1918 წ. დეკემბრის 9-დან) და, მაშასადამე, წარსული დროისათვის მოულოდნელი, — კომისიამ დაადგინა: სხვა და სხვა არა სასურველ შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად — ეცნობოს იუსტიციისა და შრომის სამინისტროებს, რათა მათ მიერ წინასწარ გამოცემულ იქნეს შესაფერისი ინსტრუქცია აღნიშნული კანონის გამოცემის შესახებ.

3. ლ.

### კვირეული მიმოხილვა.

საერთაშორისო პოლიტიკაში საქართველოს მდგომარეობა თანდათანობით მტკიცდება და მკვიდრდება. ინგლისის მისიის უკანასკნელი ცნობით „ინგლისი სიმპატიით უყურებს დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის დაარსებას და მხარს დაუჭერს, რომ ის ცნობილ იქნას სხვა მოკავშირე სახელმწიფოების მიერც“. დღემდე დაკარგული მიჩქმალული საქართველოს სახე დღეს — განვითარებული დემოკრატიის შეგონებით — გამოჩნდა და თავის საკუთარ კალაპოტში ჩადგა. საქართველოს ეროვნული დემოკრატია ხუროთ-მოძღვარობს და თავისი სისწლით — ხორციით ქმნის სახელმწიფოს ზატად და მზგავსად თვისა. უნარი და ენერჯია მისი დღდია და ამით შესძლო კიდევ ამიღლებულიყო, გულმკერდი გაეშალა და მსოფლიოსათვის ეთქვა: მე ვარსებობ! მე ვარსებობ და მსურს არსებობა! და რადგან მისი არსებობა ერთი მხრივ დამოკიდებულია საერთაშორისო პირობებზე, — ამიტომაც ყოველი ნაბიჯი, რომელიც განამტკიცებს ამ არსებობას, ფრიად სასიხარულოა. მით უფრო, რომ ამ განმტკიცებას, მიუხედავად იმისა, რომ მტრები მრავლათ ჰყავს და თავგამოდებით ებრძვიან მას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაური მტრები არ ისვენებენ და შთელ ძალდონეს იმას ანდობებენ, რომ რამენაირათ დასცენ იგი. შეგნებულნი და შეუგნებულნი მტერნი ფეხზე არიან ამდგარნი და თავს ესხმიან საქართველოს რესპუბლიკას. მაგრამ ბრძოლაში გამოჯარდაკებული და გამოძმედილი ქვეყანა საღ კლდეხავით სდგას. ახალციხის მაზრაში ოსმალთა აგენტებმა და გაკოტრებულმა ბეგებმა ბრბოების შემწეობით სასაქართველოზე თავდასხმა მოაწყეს და შეეცადენ ამ ახლო წარსულის ისტორიის გამეორებას, მა-

გრამ ცარიელზე რჩებიან: ფართო-მასშტაბით მაც კარგათ იწვნია მათი ბატონობა მას მხარს არ უჭერს და გენერალ მაყაშვილს იარაღს აბარებს, ჩვენ მთავრობას მოარჩილებას უცხადებს. მეორე მხრივ სოხუმში აღმოაჩინეს მონარქისტული ორგანიზაცია, რომელიც ძირშივე ჩაჰკლეს. მეთაურები შეიპყრეს და გააძევეს.

ბრძოლის ველზე, დიპლომატიურ კაბინეტშიც დამარცხებული სომხეთი კვლავ უჩრბოს. სომხეთ-საქართველოს კონფერენციის დადგენილების თანახმად ჩვენი გზათა სამინისტრო შეუდგა ნეიტრალურ ზონაში რკინის გზის ჩაბარებას, მაგრამ სომხეთის, წარმომადგენლები დაბრკოლებას ქმნიან, რომ საქართველომ რკინისგზა ჩაიბაროს იმ სახით, როგორც ეს კონფერენციით არის განსაზღვრული. ფფიქრობთ, ეს ფაფხურიც ტყუილათ ჩაუვლის მათ.

## ქრონიკა

მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით დაინიშნა თფილისის მილიციის საქმეთა რევიზია.

ინგლისის მისიამ აცნობა სავარეო საქმეთა სამინისტროს, რომ მან შემდეგი ცნობა მიიღო ინგლისის მთავრობისაგან: „ინგლისი სიმპატიით უყურებს დაშაუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის დაარსებას და მხარს უჭერს, რომ ის ცნობილ იქნას სახელმწიფოების მიერ.“

თბილისში ჩამოვიდა ინგლისის მისიის გენ. ფორესტეი ვოლკერი, რომელსაც სადგურზე შეეგებნენ მთავრობის წარმომადგენელნი.

პარიზისკენ სტამბოლით მიმავალი საქართველოს საზავო დელეგაცია ინგლისის გემით ბათუმიდან უკვე გავიდა.

ჩვენი გზათა სამინისტრო შეუდგა ნეიტრალურ ზონაში რკინის გზის ჩაბარებას, თანხმად ქართველ — სომხეთ კონფერენციის დადგენილებისა.

სომხეთში ფარის ნაწილობრივი დემოილიზაცია სდგება ამავე დროს სწარმოებს მოქალაქეთა რეგისტრაცია 48 წლის ჰასაკამდე.

სოხუმის ოლქში აგრარული რეფორმის საქმე კარგათ მიდის. მიწების ჩამომრთმევე კომისიებს გლენობა ყველგან აღფრთოვანებით ხვდება და ხელს უწყობს.

ახალციხის მაზრაში ოსმალთა აგენტების და ადგილობრივი ბეგების მეთაურობით ფოცხოვის რაიონიდან შემოჭრილი „ბანდები“ ჩვენმა ჯარმა დაამარცხა და გარევა.

სოხუმში აღმოჩენილ იქნა მონარქისტული ორგანიზაცია, რომლის მეთაურები შეიპყრეს და გაქევებულ იქნენ.

დროებითი ზავის ვადის განახლების დროს შეთანხმების სახელმწიფოებმა გერმანიას ახალი, სახნელო პირობები წაუყენეს. საქართველოს მთავრობის სტამბა.



ფასი 2 მ.